

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N4

2022 წლის 02 მარტი

ქ. ლაგოდეხი

სხდომას დაესწრო: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი ივანე წიქარიშვილი.

მოისმინეს: 1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სანათების, თხოვების ფორმით, ა(ა)იპ "ლაგოდეხის სერვის ცენტრი"-სთვის გადაცემის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: ი.ხაჩიძემ, ს. კვერნაძემ.

ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს.

მოისმინეს: 2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის N 14 განკარგულების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ივანე წიქარიშვილი განმარტავს, რომ ცვლილებები ეხება:

ა) 2 მიწის ნაკვეთის, კერძოდ, სოფ. თამარიანში მდებარე მიწის ნაკვეთის-164119 კვ.მ. და სოფ. ჰერეთისკარში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)მიწის ნაკვეთის, ფართობი- 49177 კვ.მ. საპრივატიზებო ობიექტების ნუსხიდან ამოღებას და

ბ) 5 ობიექტის, კერძოდ, სოფ. ჰერეთისკარში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)მიწის ნაკვეთის, ფართობი- 81439 კვ.მ. სოფ. ჭიაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)მიწის ნაკვეთის, ფართობი- 25440 კვ.მ. სოფ. ჰერეთისკარში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)მიწის ნაკვეთის, ფართობი- 61500 კვ.მ. სოფ. ჭაბუკიანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)მიწის ნაკვეთის, ფართობი-300045 კვ.მ. და სოფ. ფონაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)მიწის ნაკვეთის, ფართობი-22037 კვ.მ. საპრივატიზებო ნუსხაში დამატების საკითხს.

აზრი გამოთქვას: ს. კვერნაძემ, ი. ცქიფურიშვილმა.

ევა ლომთაძემ წამოაყენა წინადადება წარმოდგენილ პროექტს დაერთოს ნაკვეთების ფოტო და კარტოგრაფიული მასალა.

ბიუროს 9 წევრმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს, 1 წევრმა- ევა ლომთაძემ თავი შეიკავა.

მოისმინეს: 3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

ივანე წიქარიშვილი განმარტავს, რომ ქ. ლაგოდეხში სახელმწიფო და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის გამონაგარიშება უნდა ხდებოდეს მიწის ნორმატიული ფასის, ქ. ლაგოდეხის მაკრომდებარეობის ინდექსის, ლოკალური ტერიტორიული ინდექსის, მიწის საბაზისო განაკვეთის და მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტების გათვალისწინებით. აღნიშნული გაანგარიშება წარმოდგენილია დანართის სახით.

ბიუროს 10 წევრმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს, 1 წევრმა - ევა ლომთაძემ თავი შეიკავა.

მოისმინეს: 4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 სექტემბრის N გ-983.93212465 განკარგულების დანართი N1-ში ცვლილების შეტანის შესახებ.


ივანე წიქარიშვილი განმარტავს, რომ ცვლილება ეხება კაბალჭესის მიმდებარედ სოფ. განჯალაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთის - ფართობი 49177 კვ.მ. საპრივატიზებო ნუსხაში შეტანას. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 74000 ლარი, ბე 8000 ლარი, ბიჯი 1000 ლარი.

აზრი გამოთქვს: ე. ლომთაძემ, ი. ცქიფურიშვილმა.

ბიუროს 9 წევრმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს, 2 წევრი - ე. ლომთაძე, ი. ცქიფურიშვილი წინააღმდეგია.

ევა ლომთაძე წინადადებით შემოდის უკრაინაში მიმდინარე საომარ ვითარებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტში უკრაინის დასახმარებლად შეგროვილი თანხა, პროდუქტი, თუ სხვა სახის მასალა გაიგზავნოს მუნიციპალიტეტის სახელით და არა მერიის სახელით.

საკრებულოს თავმჯდომარე



კ. ჯამბურია